

940/2

ქართული
ენების
საქართველო



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ივნისი 4

№ 12

თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

- 42. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „საწვავი მასალის ხარჯვის ნორმების გადიდებისა და 1940 წლის საგაზაფხულო ხენის სამუშაოებზე ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურების თაობაზე“ მიღებული დადგენილების გაუქმების შესახებ.
- 43. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1938—1942 წლებისათვის საქართველოს სსრ-ში ეთეროვან-ზეთოვანი კულტურების განაწილების გეგმის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
- 44. ლიმონისა და ფორთოხალის გასაშენებლად გამოსადეგ მიწებზე სხვა მრავალწლოვანი კულტურების გაშენების აკრძალვის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

- 45. „სახალხო მეურნეობის მომხმარებელი დარგების სამრეწველო ნარჩენებითა და უტილ-ნედლეულით მომარაგების მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ.
- 46. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატის სტრუქტურის შესახებ.
- 47. წითელი არმიის რიგებში მობილიზებულ მოქალაქეთა ოჯახებისათვის საბავშვო ბაღებში ბავშვთა შესანახი შესატანების გადახდის მხრივ შეღავათების მინიჭების შესახებ.
- 48. სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ავიატრო დარგის იმ მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა.





სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

42. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „საწვავი მასალის ხარჯვის ნორმების გადიდებისა და 1940 წლის საგაზაფხულო ხვნის სამუშაოებზე ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურების თაობაზე“ მიღებული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 აპრილის დადგენილება „საწვავი მასალის ხარჯვის ნორმების გადიდებისა და 1940 წლის საგაზაფხულო ხვნის სამუშაოებზე ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 7, მუხ. 27).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი კ. ჩარკვიანი.

1940 წ. მაისის 13. № 841.
თბილისი.

43. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „1938—1942 წლებისათვის საქართველოს სსრ-ში ეთეროვან-ზეთოვანი კულტურების განაწილების გეგმის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

იმის გამო, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 25 აპრილს მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ-ში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხობრივი მელვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 11, მუხ. 269) გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 2 თებერვლის დადგენილება №135 „1938—42 წლებისათვის საქართველოს სსრ-ში ეთეროვან-ზეთოვანი კულტურების განაწილების გეგმის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გაშენებას ლიმონის ევკალიპტისა და მწარე თურინჯისა, როგორც ისეთი კულტურებისა, რომლებიც მოითხოვენ ციტრუსოვანთა პლანტაციებისათვის გამოსადეგ ფართობებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი კ. ჩარკვიანი.

1940 წ. მაისის 15 № 865.
თბილისი.

44. ლიმონისა და ფორთოხლის გასაშენებლად გამოსადეგ მიწებზე სხვა მრავალწლოვანი კულტურების გაშენების აკრძალვის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 25 აპრილის დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარის-ხობრივი მელვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 11, მუხ. 269), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. აეკრძალოს ყველა კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას და დანარჩენ ორგანიზაციებს (მათ შორის საკავშირო ქვემდებარეობის საბჭოთა მეურნეობებსა და ორგანიზაციებს) ყოველგვარი სხვა მრავალწლოვანი კულტურების გაშენება ლიმონისა და ფორთოხლისათვის გამოსადეგ მიწებზე.

2. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს ტრესტ „საქეთერზეთს“ სათანადო რაიონულ კომიტეტებთან და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავიანთი სისტემების საბჭოთა მეურნეობებში ლიმონისა და ფორთოხლისათვის გამოსადეგი ფართობების გამოვლინებას და მთელი გამოყოფილი მიწები დაჯავშნონ ამ კულტურების გასაშენებლად.

გაფრთხილება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების განუხრელად შესრულებისათვის.

3. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და ყველა სამიწათმოქმედო ორგანოებს მტკიცედ ადევნონ თვალყური ამა დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი კ. ჩარკვიანი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

45. „სახალხო მეურნეობის მომხმარებელი დარგების სამრეწველო ნარჩენებითა და უტილნედლეულით მომარაგების მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 13 აპრილის დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის მომხმარებელი დარგების სამრეწველო ნარჩენებითა და უტილნედლეულით მომარაგების მოწესრიგების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 11, მუხ. 275), სამრეწველო ნარჩენებისა და უტილნედლეულის დამზადების, შენახვისა და ჩაბარების საქმის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ქალაქების დასუფთავების ტრესტების მეშვეობით მოაწყონ უტილნედლეულის შეგროვება ქუჩების, სახლებისა და ცალკეული სადგომების გასუფთავების დროს, აგრეთვე უტილნედლეულის ამოღება ნაგავიდან და ნარჩენებიდან, რაც შემდეგში გადასცენ „სოიუზუტილის“ საქართველოს კანტორას.

2. დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ვ. გოგუას) კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით ყოველგვარი დახმარება გაუწიოს „სოიუზუტილის“ საქართველოს კანტორას, რისთვისაც დაუთმოს მას სათანადო სადგომები შეგროვილი უტილნედლეულის დროებით შესანახად, აგრეთვე დაეხმაროს იმ მხრივ, რომ უტილნედლეულის შეგროვების საქმეში ჩაბმულ იქნას სახლების მოსამსახურე პერსონალი (მეეზოვეები, დამლაგებლები და სხვ.).

3. დაევალოს ყველა უწყებას, დაწესებულებას და საწარმოს მოაწყონ ყოველგვარი სახის სამრეწველო ნარჩენებისა და უტილნედლეულის ყოველთვის შეგროვება. თავის დროზე ამოიღონ დადგენილი წესით თავისი არქივებიდან მაკულატურა და ჩააბარონ იგი „სოიუზუტილს“.

4. აეკრძალოს დაწესებულებებს, საწარმოებსა და ყველა ორგანიზაციას უტილნედლეულის (მჩვარი, მაკულატურა, ძვალი, რეზინის ძველი ნაწარმი და სხვ.) მოსპობა დაწვის ან მისი გადაყრის გზით.

დაევალოს დაწესებულებათა, საწარმოთა და სხვადასხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გამოჰყონ პასუხისმგებელი პირები, უტილნედლეულის შენახვის და „სოიუზუტილის“ საქართველოს კანტორის დამამზადებელ პუნქტებისათვის ჩაბარების საქმეში.

5. დაევალოს სახბანკის საქართველოს კანტორას გაავრცელოს „სოიუზუტილის“ სისტემის მიერ უტილნედლეულის დამზადებაზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ინსტრუქცია № 60 „სახელმწიფო ორგანიზაციათა დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“, რომელიც გამოცემულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 20 ივნისის № 1247 დადგენილების შესაბამისად.

6. დაევალოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო კომიტეტებს აღმასკომებს მიიღონ ზომები უტილენდლეულის დამზადების გასაძლიერებლად, პერიოდულად მოისმინონ „სოიუზუტილის“ დამამზადებელი პუნქტების გამგეთა მოხსენებანი სახლთსამმართველოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა უტილენდლეულის დამზადების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

7. დაევალოს „სოიუზუტილის“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. ხელაძეს, საბინაო სამმართველოთა, სახლთსამმართველოთა, სახლების კომენდანტთა და სხვ. მეშვეობით, ფართოდ გაშალოს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში უტილენდლეულის დამზადების, მნიშვნელობის შესახებ და უზრუნველჰყოს შეგროვილი უტილენდლეულის თავის დროზე მიღება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. მაისის 8. № 799.

თბილისი.

46. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატის სტრუქტურის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 7 აპრილის დადგენილებისა „საქართველოს სსრ მიწსახკომის სტრუქტურის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 9, მუხ. 143), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რეორგანიზებულ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატი საწარმოო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით და ამის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა:

მოეწყოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შემდეგი საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოები:

პირველი საწარმოო-ტერიტორიული სამმართველო (რომელშიაც შედის დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის რაიონები: გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩეჩორის, ვალის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, გეგეკორის, ხობის, ცხაკაის, აბაშის, ფოთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის, ქობულეთის, ბათუმის, ქედისა და ხულოს რაიონები).

მეორე საწარმოო-ტერიტორიული სამმართველო (რომელშიაც შედის სამტრედიის, წულუკიძის, წყალტუბოს, ქუთაისის, ვანის, ბაღდათის, ორჯონი-

კიძის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ჩხარის, ტყიბულის, ამბროლაურის, ცაგერის, ონის, ზემო-სვანეთისა და ქვემო-სვანეთის რაიონები).

მესამე საწარმოო-ტერიტორიული სამმართველო (რომელშიაც შედის ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, ზნაურის, ჯავის, სტალინორის, ლენინგორის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, აღბულაღის და წალკის რაიონები).

მეოთხე საწარმოო-ტერიტორიული სამმართველო (რომელშიაც შედის საგარეჯოს, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, ყარაიის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, მცხეთისა და თბილისის რაიონები).

2. მოეწყოს შემდეგი საწარმოო და სპეციალური სამმართველოები:

მეცხოველეობის სამმართველო (იმ განყოფილებებითა და სექტორებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურით, ამასთან დაუმორჩილდეს მას „ზაგოტპლემსკოტის“ საქართველოს ფილიალი).

ცხენთსაშენის სამმართველო (რომელშიაც შედის თბილისის იპოდრომი, საქცხენდამზადების კანტორა და თბილისის საქარხნო სახელმწიფო თავლა).

ვეტერინარული სამმართველო (რომელშიაც შედის, სავეტერინარო ინსპექცია, საქვეტმომარაგების კანტორა და საქართველოს სავეტერინარო საცდელი სადგური).

აგროტექნიკასა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამმართველო (რომელშიაც შედის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და დაავადებასთან მებრძოლი ჯგუფი, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებლებისა და დაავადების პროგნოზების სამსახური, მექანიზაციის ჯგუფი და სხვა ჯგუფები).

საჯიშე სამმართველო (რომელშიაც შედის სახეიშეფონდის კანტორა).

მიწათმოწყობის სამმართველო (რომელშიაც შედიან რევიზორ-მიწისმზომლები და მიწების ინვენტარიზაციის ჯგუფი).

წყალთა მეურნეობის სამმართველო (რომელშიაც შედის „ვოდსტროისნაბი“ და მატერიალური მომარაგების კანტორა).

კადრების სამმართველო (მასობრივი კადრების მომზადება, აღრიცხვა და განაწილება, უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტები).

3. მოეწყოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შემდეგი განყოფილებები და სექტორები:

დამხმარე საკოლმეურნეო საწარმოებისა და საფქვავე საწარმოების განყოფილება;

ორგანიზაციულ-საკოლმეურნეო განყოფილება;

სუბტროპიკულ კულტურათა აგროტექნიკისა და მექანიზაციის განყოფილება;

საგვემო განყოფილება;
 საფინანსო განყოფილება;
 საანგარიშო-ეკონომიური განყოფილება;
 კაპიტალური მშენებლობის განყოფილება;
 სამხედრო განყოფილება სპეცნაწილითურთ;
 ცენტრალური ბუხვალტერია;
 სათბობის სექტორი;
 საქმეთა მმართველობა;
 სახალხო კომისრის, სახალხო კომისრის მოადგილეთა და კოლეგიის
 სამდივნო;
 ინსპექცია.

4. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისართან იმყოფება:
 ტექნიკური საბჭო სასოფლო-სამეურნეო და საირიგაციო-მელიორატიული
 მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთ-აღრიცხვების საექსპერტიზოდ.
 ბოსტნეული, ბახჩეული კულტურებისა და საკვები ძირნაყოფა ბალახების
 ჯიშთ გამოცდის კომისია.

საკარანტინო ინსპექცია.

5. შეიქმნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატ-
 თან შემდეგი სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციები: ა) „საქსოფლმეურნობა-
 რაგება“, ბ) „საქსოფლმეურნეიმომარაგება“, გ) „საქსოფლმეურნმშენმპროექტის“
 კანტორა; დ) ტრესტი „საქსოფლმეურნეულექტრო“, ე) „საქჯიშთესლბოსტნეული“,
 ვ) ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი „ლიმმანტრესტი“ და
 ზ) ჩაქვის მეთესლეობის კანტორა ჩაის, ევკალიპტისა და სხვა სუბტროპიკული
 ნარგავების თესლის დასამზადებლად.

6. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ახალ
 სტრუქტურასთან დაკავშირებით, ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ
 მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული შემდეგი სამმართველოე-
 ბი და განყოფილებანი: სუბტროპიკული, მევენახეობის, ხილბოსტნეულის, მეთამ-
 ბაქოობის, მარცვლეულის, კადრების მომზადების სამმართველო, საგვემო-საფინ-
 ნანსო განყოფილება, მცენარეთა დაცვის განყოფილება, მექანიზაციის განყოფი-
 ლება, აღრიცხვისა და სტატისტიკის განყოფილება, სპეცგანყოფილება, საფინან-
 სო-საკონტროლო ჯგუფი და მეაბრეშუმეობის ჯგუფი, აგრეთვე ლიკვიდირე-
 ბულ იქნას თანამდებობა სახალხო კომისრის თანამემწისა კადრების შერჩევისა
 და განაწილების დარგში.

7. დაველოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს
 საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკურ
 საშტატო კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინოს საშტატო ცხრილი.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „დებულება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი-
 ატის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 21 მარტის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 33);

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 20 აპრილის დადგენილება „სიღნაღის სასოფლო-სამეურნეო კომბინატის საერთო ხელმძღვანელობისა და სამუშაოთა დაგეგმვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის დაკისრების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 14, მუხ. 80);

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან კოლხიდის დასახლების სამმართველოს მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 12, მუხ. 87);

დ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სასოფლო-სამეურნეო გადასახლების ბიუროს მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 8, მუხ. 40).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. მაისის 8. № 808.

თბილისი.

47. წითელი არმიის რიგებში მობილიზებულ მოქალაქეთა ოჯახებისათვის საბავშვო ბაღებში ბავშვთა შესანახი შესატანების გადახდის მხრივ შეღავათების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც წითელ არმიაში მობილიზებული მოქალაქის ოჯახი ღებულობს დახმარებას თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულებისა „ომიანობის დროს რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო მოაპასახურეთა ოჯახებისათვის დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ“ და მობილიზებულის ცოლი არ მუშაობს — განთავისუფლებულ იქნას აღნიშნული ოჯახები საბავშვო ბაღებში ბავშვთა შესანახი შენატანის გადახდისაგან.

2. თუ წითელ არმიაში მობილიზებული მოქალაქის ოჯახი ღებულობს დახმარებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოთაღნიშნული

ბრძანებულების საფუძველზე და მობილიზებული სიძლიერის ცოლი კი მუშაობს — საბჭოთა კავშირის ბალებში ბავშვთა შენახვის ქირა უნდა გადახდეს მხოლოდ იმ ხელფასის თანხიდან, რომელსაც მობილიზებული სიძლიერის ცოლი ღებულობს. დახმარება, რასაც მობილიზებული ოჯახი ღებულობს, ხელფასის თანხაში არ შეიტანება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. მაისის 17. № 872.

თბილისი.

48. სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სავაჭრო დარგის იმ მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა.

სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სასაქონლო ფასეულობათა დანაკლისის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებსაც პასუხისმგებლობის ქვეშ გადაცემული აქვთ შესანახად ანდა სხვა მიზნებისათვის სასაქონლო ფასეულობანი, პერსონალურად არიან პასუხისმგებელი ამ ფასეულობათა დანაკლისისათვის, დაკლების იმ ნორმების ზევით, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, — მიყენებული ზარალის სრული ოდენობით.

2. დავის წამოჭრის შემთხვევაში ზარალი გადახდევინებულ იქნას მუშაკისადმი სასამართლოში სარჩელის აღძვრის საშუალებით.

3. დაველოს სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის მიიღონ ყოველგვარი საჭირო ღონისძიებანი მუშაობის ისეთი ნორმალური პირობების შესაქმნელად, რომლებიც უზრუნველყოფენ სავაჭრო დარგის მუშაკებისათვის ჩაბარებული ფასეულობის მთლიანად შენახვას.

4. ძალადაქარგულად ჩაითვალოს:

ა) ა. კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 14 ივნისის დადგენილება „სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეის მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა“ (ა. კ. სფსრ კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 162), რაც გავრცელებულია აგრეთვე საკრედიტო

№ 12
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საქმეთა მმართველის
მოადგ. ბ. ჯვარიანი

დაწესებულებათა მოსამსახურეებზედაც (ა. კ. სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 8, მუხ. 75);

ბ) „წესები სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის მოსამსახურეების მიერ დამქირავებლის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, რაც დამტკიცებულია ა/კ. სფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წლის 16 ივლისის დადგენილებით (ა. კ. სფსრ კან. კრ. 1928 წ. № 17, მუხ. 184).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ბ. ჯვარიანი.

1940 წ. მაისის 29. № 939.
თბილისი.

ი. 588/300



გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის



ფახი 40 კაპ.

Handwritten signature

ლ. პ. ბერიაშ სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунисти“-им. Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.

მთავლიტის რწმუნებულის № ვ-1686. შეკ. (Зак.) № 867. ტირაჟი (Тираж) 2000